ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04. 03. 2015 №35

თბილისი

სტუ-ს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ვაკანტურ სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის 2015 წლის 24 თებერვლის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსის თანამდებობების დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 5 მარტს და დასრულდეს 2015 წლის 28 მარტს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში. (მის: სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ქ. №1.), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსის თანამდებობების ნუსხა, კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
4. კონკურსი ჩატარდეს არაუგვიანეს 2015 წლის 31 მარტს.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ვაკანტური თანამდებობები, გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. საინჟინრო გეოეკოლოგიის განყოფილება;
2. ზღვის საინჟინრო გეოლოგიის განყოფილება;
3. ჰიდროგეოლოგიის განყოფილება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო ხუთი წლის გამმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;

ზ) შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი), რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).